დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

[ახალი და უახლესი ისტორია - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა]

[სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი]

[25.04.2024]

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - მერაბ

გვარი - ჭუმბურიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ახალი და უახლესი ისტორია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	II საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII (მაგისტრატურა)
4	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0222 - ისტორია და არქეოლოგია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1); თსუ VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული - № 369492; 31 მარტი, 2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	17.03.2023 წ.
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი - 2024 წლის 17 მარტი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 17 მარტი

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	➢			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	➢			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	➢			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	➢			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	➢			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 06 დეკემბრის № 1556207 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ევანგელოს კირიაკიდისი (თავმჯდომარე), ემზარ კახიძე (წევრი), ირინე დემეტრაძე (წევრი), მერაბ ჭუმბურიძე (წევრი), ვაჟა მამიაშვილი (წევრი), თამთა კობახიძე (წევრი), ნანა ფიცხელანი (წევრი) – 2022 წლის 9,12,13 და დეკემბერს განახორციელა ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში შემავალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შეფასების მიზნით.

სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით და შეფერხებების გარეშე. ვიზიტის პროცესში დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ არსებობდა კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება. დასკვნის შეჯამებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან - სრული შესაბამისობა დადგინდა I, II, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით (№369481, 31.03.2023 წ.) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გასცა 4 რეკომენდაცია. (სტანდარტი I - კომპონენტი 1.2 ერთი რეკომენდაცია, კომპონენტი 1.3 ერთი რეკომენდაცია, კომპონენტი 1.4 ერთი რეკომენდაცია, კომპონენტი 1.5 ერთი რეკომენდაცია.

1. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს პროგრამის სწავლის შედეგები.
2. რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულ ECTS კრედიტებთან;
3. გაუმჯობესდეს სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი სახით (მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე.
4. რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სტანდარტი I:
კომპონენტი 1.2

1. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს პროგრამის სწავლის . შედეგები.

აკრედიტაციის დასკვნის თანახმად პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოა და ისინი სილაბუსებშიც არის ასახული. ასევე დასკვნაში არ არის მითითებული რომელ სასწავლო კურსებს ეხება რეკომენდაცია. შესაბამისად, უსდ-მ ის აღიქვა შემდეგი სახით, რომ სააკრედიტაციო ვადაში მომხდარი ნებისმიერი საგნობრივი ცვლილება მკაფიო მიმართებაში იყოს პროგრამის სწავლის შედეგებთან. საანგარიშო პერიოდში პროგრამაში არსებითი სტრუქტურული ცვლილებები არ განხორციელებულა. პროგრამას დაემატა ორი უცხოენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი, რომელთა სილაბუსებში აისახა პროგრამის სწავლის შედეგები. ასევე 5 სასწავლო კურსის სილაბუსში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც კორელაციაში მოვიდა პროგრამის მიზან-შედეგებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულია.

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

სტანდარტი I:
კომპონენტი 1.3

1. გაუმჯობესდეს სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი სახით (მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ, სასურველია ეს მოხდეს საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე.

უსდ-მ გაატარა რამოდენიმე ღონისძიება სტუდენტთა კმაყოფილების სისტემის გაუმჯობესებისათვის: ა) შემუშავებული იქნა ახალი მექანიზმი, რომელიც მიმართულია სტუდენტთა ინტერესების ჩაღრმავებული თვისობრივი კვლევის მიმართულებით ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუირების მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას მონაცემების მიღებას არა მხოლოდ ცალკეული კურსის, არამედ მოდულის შეფასებისათვის; ბ) ფაკულტეტის ხუს-ის მიერ დაგეგმილია სტუდენტთა ყოველწლიური რაოდენობრივი ანონიმური გამოკითხვა; გ) დაინერგა მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის გამოკითხვების ჩატარება და მონაცემების გაანალიზება. ასევე მისი მეშვეობით სტუდენტს შეუძლია ნახოს შუალედური და საბოლოო შეფასებები ელექტრონული უწყისების სახით, რომელთაც ახლავს გაუსის სქემა. ეს ყველაფერი ემსახურება სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემის გაუმჯობესებას. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

სტანდარტი I:
კომპონენტი 1.4

1. რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულ ECTS კრედიტებთან.

საანგარიშო პერიოდში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში როგორც სასწავლო მასალის, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ასევე განახლდა და სისტემატიზებულ იქნა სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის, უახლესი გამოცემებით. საანალიზოდ წარმოდგენილი ხუთი სასწავლო კურსის შესწავლამ აჩვენა, რომ ოთხ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა ადექვატურია კრედიტების რაოდენობასთან, ხოლო ერთ სასწავლო კურსში კი ლიტერატურის რაოდენობა აღემატება კრედიტების მითითებულ რაოდენობას. შესაბამისად, ვთვლით, რომ უსდ-ს მიერ გატარებული ღონისძიებები ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შეიძლება შეფასდეს დადებითად, ხოლო რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.

სტანდარტი I:
კომპონენტი 1.5

1. რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია და დაიწყო მუშაობა შესაბამისი მიმართულებით. საანალიზოდ წარმოდგენილი ხუთი სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მათში

მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან 6 გამოცემულია 2020-2023 წლებში, 10 - 2010-2019 წლებში, ხოლო 25 - 2000-2009 წლებში. სულ 2000-2023 წლებში გამოცემული ლიტერატურის რაოდენობა ხუთი სასწავლო კურსის სილაბუსში კი შეადგენს 41-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

რჩევ(ებ)ი[8]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით (№369481, 31.03.2023 წ.) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გასცა 12 რჩევა: სტანდარტი I - კომპონენტი 1.2 ერთი რჩევა, კომპონენტი 1.5 სამი რჩევა; სტანდარტი II - კომპონენტი 2.1 ერთი რჩევა, კომპონენტი 2.3 ერთი რჩევა; სტანდარტი III - კომპონენტი 3.1 ოთხი რჩევა; სტანდარტი IV - კომპონენტი 4.1 ერთი რჩევა,; კომპონენტი 4.5 ერთი რჩევა.

1. პროგრამების სწავლის შედეგები, მკაფიოა, თუმცა ისინი მუდმივად ცხადად უნდა ჩანდეს სილაბუსებში (ამჟამად ისინი არის), სტუდენტთა სახელმძღვანელოებში და ვებგვერდზე სტუდენტთა სარგებლობისთვის. ტრანსფერულ შედეგებზე (უნარებზე) ყურადღების გამახვილება არსებითი მნიშვნელობისაა იმისათვის, რომ თითოეული პროგრამის ღირებულების შესახებ კომუნიკაცია მოხდეს სამინისტროსთან, პოტენციურ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან.
2. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ელექტრონული რიდერების შექმნა.
3. კლასტერს სარგებელს მოუტანს სტაჟირების გარკვეული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის მკაფიო შედეგები. ფაკულტეტის წარმომადგენელი თითოეულ პროგრამაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირებას, პერიოდულად უნდა ახორციელებდეს ადგილზე ვიზიტს, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება.
4. ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს დეპარტამენტს განიხილოს პროგრამის აქ წარმოდგენილი შეფასება და ასეთივე წარმატებით განაგრძოს მუშაობა. ასევე რეკომენდებულია სხვადასხვა პროგრამების განხილვა და განახლება იმ მიზნით, რომ პროგრამები მუდმივად აქტუალური იყოს; ასევე გააფართოვოს კურიკულუმები საქართველოსათვის მნიშვნელოვან სფეროების დამატებით და ასევე, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.
5. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დეპარტამენტმა განიხილოს მაგისტრანტების მიერ საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისგან განსხვავებული შეფასებით (მათი სწავლების დონის ასახვის მიზნით).ქართულ ენაზე ონლაინ რიდერი შეიძლება იყოს წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ ენაზე განახლებული ბიბლიოგრაფიის ნაკლებობის დასაძლევად.
6. ბაკალავრიატის შემდგომ საფეხურებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს, ინფორმაცია წარმოდგენელი იყოს ყველა შესაბამის ონლაინ ფორმატში. განსაკუთრებით სადოქტორო

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

პროგრამისთვის, დეპარტამენტმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ამ პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ღიაობისთვის, რომ მიიღოს სტუდენტები სხვადასხვა ადგილებიდან.

7. გაძლიერდეს არსებული საკომუნიკაციო არხები სტუდენტებსა და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციულ სერვისებს შორის.
8. გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს მაგისტრანტებისთვის არსებული მხარდაჭერის სერვისების მექანიზმები, სამომავლოდ უცხოურ გაცვლით პროგრამებში მათი აქტიურად ჩართულობის მიზნით.
9. ინტენსიური გახდეს საქმიანობა დარგზე-ორიენტირებული სტაჟირებების მიმართულებით, კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტებისთვის.
10. განიხილოს დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტების ჩართვა და გაძლიერება შესაბამის უცხო ენების კურსებში.
11. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია, პერიოდულად შეამოწმოს სადოქტორო და სამაგისტრო საშრომების ხელმძღვანელთა სამუშაო დატვირთვა;
12. სასურველია თანხების მოზიდვა სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევების განხორციელების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

სტანდარტი I:

კომპონენტი 1.2

1. პროგრამების სწავლის შედეგები, მკაფიოა, თუმცა ისინი მუდმივად ცხადად უნდა ჩანდეს სილაბუსებში (ამჟამად ისინი არის), სტუდენტთა სახელმძღვანელოებში და ვებგვერდზე სტუდენტთა სარგებლობისთვის. ტრანსფერულ შედეგებზე (უნარებზე) ყურადღების გამახვილება არსებითი მნიშვნელობისაა იმისათვის, რომ თითოეული პროგრამის ღირებულების შესახებ კომუნიკაცია მოხდეს სამინისტროსთან, პოტენციურ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან.

რჩევაში მითითებული ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგების სილაბუსებში ასახვის შესახებ ნამდვილად დასტურდება. უსდ იყენებს მრავალ საშუალებას „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის ტრანსფერული შედეგების (უნარების) შემუშავებისა და მათ შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისათვის. უსდ პროგრამის შედეგების, მათ შორის ტრანსფერული უნარების შემუშავების პროცესში განსაკუთრებულ პრიორიტს ანიჭებს შრომის ბაზრის ფართომასშტაბიან კვლევებს და პროფილური დამსაქმებლების ჩართვა. თუმცა რა ახალი ღონისძიებები იქნა გატარებული ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში,

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

მითითებული არ არის. ვფიქრობთ, რომ უსდ-ს აქვს ყველა მექანიზმი პროგრამის განვითარების მიმართულებით მუდმივი მუშაობის, მათ შორის პროგრამის შედეგების სრულყოფის თვალსაზრისით და მათ შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მიზნით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უსდ ითვალისწინებს რჩევას.

სტანდარტი I:

კომპონენტი 1.5

1. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ელექტრონული რიდერის შექმნა.

რჩევა ეხება ახალი ელექტრონული რიდერების შექმნას, თუმცა ანგარიშში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ სასწავლო კურსში მოხდა ახალი ელექტონული რიდერის შემუშავება. უსდ-ს მუდლის ელექტრონული პლატფორმაზე ცალკეა გამოყოფილი „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის გვერდი, სადაც ჩამოთვლილია პროგრამის სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ რჩევა გათვალისწინებულია.

2. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დეპარტამენტმა განიხილოს მაგისტრანტების მიერ საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისგან განსხვავებული შეფასებით (მათი სწავლების დონის ასახვის მიზნით). ქართულ ენაზე ონლაინ რიდერი შეიძლება იყოს წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ ენაზე განახლებული ბიბლიოგრაფიის ნაკლებობის დასაძლევად;

უსდ მიუთითებს, რომ ამ რჩევის გათვალისწინება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგანაც საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ ნორმატივებს ეწინააღმდეგება. ასეთი საგანი სტუდენტს კრედიტებში ვერ უღიარდება და ვერც შეფასება აესახება. თუმცა უნივერსიტეტში არსებობს პრაქტიკა, რომლის თანახმად შესაძლებელია, რომ მაგისტრანტმა საბაკალავრო პროგრამიდან რომელიმე საგანი გაიაროს თავისუფალი მსმენელის სტატუსით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემთხვევაში. უსდ-ს პოზიცია ამ რჩევასთან დაკავშირებით ნათელია და ჩვენ ვიზიარებთ მას.

3. ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს დეპარტამენტს განიხილოს პროგრამის აქ წარმოდგენილი შეფასება და ასეთივე წარმატებით განაგრძოს მუშაობა. ასევე რეკომენდებულია სხვადასხვა პროგრამების განხილვა და განახლება იმ მიზნით, რომ პროგრამები მუდმივად აქტუალური იყოს; ასევე გააფართოვოს კურიკულუმები საქართველოსათვის მნიშვნელოვან სფეროების დამატებით და ასევე, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

უსდ მუშაობს პროგრამის გარე შეფასებისას მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მიმართულებით და თვლის მათ პროგრამის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ხოლო რაც შეეხება პროგრამის კურიკულუმის გაფართოებას საქართველოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კურსებით, ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში შედის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის

მოდულით და შესაბამისად, ამ ეტაპზე „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში მათზე აქცენტირება ვერ კეთდება. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უსდ არ გამორიცხავს საქართველოს ისტორიის ცალკეული კურსების შემოტანის საკითხის არჩევითი კურსების სახით. ამავე დროს პროგრამა განახლდა ორი უცხოენოვანი არჩევითი სასწავლო კურსით, რაც ადასტურებს, რომ რჩევის ნაწილი ამჟამად გათვალისწინებულია.

სტანდარტი II:

კომპონენტი 2.1

1. ბაკალავრიატის შემდგომ საფეხურებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს, ინფორმაცია წარმოდგენელი იყოს ყველა შესაბამის ონლაინ ფორმატში. განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისთვის, დეპარტამენტმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ამ პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ღიაობისთვის, რომ მიიღოს სტუდენტები სხვადასხვა ადგილებიდან.

პროგრამას აქვს მიღების მკაფიო წინაპირობები და სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით პროგრამაზე დაშვების პროცესი აშკარა და გამჭვირვალეა. პროგრამა განთავსებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი გაცნობა, მათ შორის სრული ინფორმაციის მიღება პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, რჩევის პირველი ნაწილი გათვალისწინებულია. რაც შეეხება რჩევის მეორე ნაწილს, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებულია, რომ „უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“. აღნიშნულის გათვალისწინებით უსდ-ს პოზიცია რჩევის მეორე ნაწილთან დაკავშირებით მისაღებია.

სტანდარტი II:

კომპონენტი 2.3

1. კლასტერს სარგებელს მოუტანს სტაჟირების გარკვეული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის მკაფიო შედეგები. ფაკულტეტის წარმომადგენელი თითოეულ პროგრამაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირებას, პერიოდულად უნდა ახორციელებდეს ადგილზე ვიზიტს, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება.

კლასტერული რჩევა ძირითადად ეხება იმ პროგრამებს, რომლის სასწავლო კომპონენტში ჩართულია პრაქტიკა ან სტაჟირება. თსუ სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი ატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ფაკულტეტის სამივე საფეხურის პროგრამების სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. ხოლო რჩევის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტის წარმომადგენელის პერიოდულ ვიზიტს სტაჟირების ადგილზე, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება, ის არ ეხება „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამას, რადგან ის არ ითვალისწინებს სტაჟირებას და შესაბამისად, მასზე პასუხი სავალდებულო არ არის.

სტანდარტი III:

კომპონენტი 3.1

1. ინტენსიური გახდეს საქმიანობა დარგზე ორიენტირებული სტაჟირებების მიმართულებით, კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტებისთვის;

რჩევა კლასტერულია და ძირითადად ეხება იმ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკასა და სტაჟირებას. თუმცა სასურველი იქნებოდა მოყვანილი ყოფილიყო კონკრეტული მაგალითები „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობისა იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრი ამ მიმართულებით. შესაბამისად, რჩევა ნაწილობრივ არის გათვალისწინებული.

2. გაძლიერდეს არსებული საკომუნიკაციო არხები სტუდენტებსა და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციულ სერვისებს შორის;

უსდ-მ გაითვალისწინა რჩევა და საანგარიშო პერიოდში შეიქმა ახალი ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge, რომელიც ნამდვილად აძლიერებს საკომუნიკაციო საშუალებებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადმინისტრაციულ სერვისებსა და ფაკულტეტის ყველა საფეხურის პროგრამის, მათ შორის „ახალი და უხლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შორის.

3. გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს მაგისტრანტებისთვის არსებული მხარდაჭერის სერვისების მექანიზმები, სამომავლოდ უცხოურ გაცვლით პროგრამებში მათი აქტიურად ჩართულობის მიზნით;

„ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში მიღების ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულია უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით. ასევე პროგრამის სასწავლო გეგმაში არჩევით კურსებში შეტანილია 10 კრედიტის მოცულობით უცხო ენის კომპეტენციის ასამაღლებელი კურსები. ამავე მიზანს ემსახურება ორი ახალი ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსის შემოტანა. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ არ არის დაკონკრეტებული საანგარიშო პერიოდში რამდენი სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლით პროგრამებში „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამიდან. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ რჩევა გათვალისწინებულია.

4. განიხილოს დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტების ჩართვა და გაძლიერება შესაბამის უცხო ენების კურსებში.

მტკიცებულებად დასახელებულია ორი სასწავლო კურსი (უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) I და უცხოური ენა (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული) II). თუმცა არ არის დაკონკრეტებული რამდენად არის მათში ჩართული და გაძლიერებული დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტი. არც დასახელებული სასწავლო კურსების

სილაბუსებია წარმოდგენილი მტკიცებულებად. შესაბამისად, ამ რჩევის გათვალისწინების შემოწმება ვერ ხერხდება.

სტანდარტი IV:

კომპონენტი 4.1

1. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია, პერიოდულად შეამოწმოს სადოქტორო და სამაგისტრო საშრომების ხელმძღვანელთა სამუშაო დატვირთვა.

კლასტერული რჩევა ეხებოდა საკითხს მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური ლიმიტის გადახედვის შესახებ. ეს საკითხი უნივერსიტეტში რეგულირდება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებითა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით. უსდ მომავალში გეგმავს სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა მაქსიმალური ზღვარის გადახედვას, ხოლო სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის საკითხთან დაკავშირებით უსდ არ აპირებს რაიმე ცვლილებას.

სტანდარტი IV:

კომპონენტი 4.5

1. სასურველია თანხების მოზიდვა სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევების განხორციელების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

უსდ-მ საანგარიშო წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კლასტერული რჩევის შესასრულებლად. თუმცა შევნიშნავთ, რომ უსდ-ს მიერ ანგარიშში რჩევის აღწერა კლასტერის კონტექსტშია მოცემული. სასურველი იყო, რომ ანგარიშში ცალკე ყოფილიყო გამოკვეთილი მონაცემები კლასტერში შემავალ თითოეულ პროგრამასთან, მათ შორის „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

რეკომენდაციები

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს პროგრამის სწავლის შედეგები.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშის მიხედვით უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია, თუმცა საანგარიშო პერიოდში პროგრამაში არსებითი სტრუქტურული ცვლილებები არ განხორციელებულა. პროგრამას დაემატა ორი უცხოენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი, რომელთა სილაბუსებში აისახა პროგრამის სწავლის შედეგები. ასევე რამოდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც კორელაციაში მოვიდა პროგრამის მიზან-შედეგებთან. ასევე გადაიხედა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები და განახლდა სასწავლო ლიტერატურა, რიგ შემთხვევაში შევიდა ცვლილებები სწავლების მეთოდებსა და შეფასების წესში. კერძოდ, 1.5 კომპონენტის აღწერაში მითითებულია ორი უცხოენოვანი არჩევითი და ოთხი ქართულენოვანი სასწავლო კურსი: Russia and Conflicts in the Post-Soviet Space; 2. The Marxist Experiment in Russia: The Rise and Fall of the Evil Empire; 3. გლობალიზაცია და თანამედროვე პრობლემები; 4. ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსკენ (1898-1945); 5. მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და აღსასრული; 6. საფრანგეთი XVII საუკუნეში. ავღნიშნავთ, რომ უსდ მიუთითებს ამ კლასტერული რეკომენდაციის ორგანულ ბმაზე ამავე კომპონენტის რჩევასთან, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოა და ყურადღებას ამახვილებს ამავე რჩევის ნაწილზე, რომ ამჟამად სილაბუსებში ისინი არიან ასახული. შესაბამისად, უსდ-მ ეს რეკომენდაცია აღიქვა, როგორც მითითება, რომ სააკრედიტაციო ვადაში მომხდარი ნებისმიერი საგნობრივი ცვლილება მკაფიო მიმართებაში იყოს პროგრამის სწავლის შედეგებთან. აქვე შევნიშნავთ, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში (გვ. 24 და 27) 1.2 კომპონენტის ანალიზში და რეკომენდაციებში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ სასწავლო კურსებს ეხება ზემოთაღნიშნული რეკომენდაცია. შესაბამისად,

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ჩვენთვის მისაღებია უსდ-ს არგუმენტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება დასახელებული სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგებს, ანალიზმა აჩვენა, რომ მათი სწავლის შედეგებში ასახულია პროგრამის სწავლის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა და სასწავლო გეგმა, დამტკიცებული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (15.03.2024 ოქმი №4) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (18. 03. 2024); • სასწავლო კურსის სილაბუსები: ✓ გლობალიზაცია და თანამედროვე პრობლემები; ✓ ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსკენ (1898-1945); ✓ მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და აღსასრული; ✓ საფრანგეთი XVII საუკუნეში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
რეკომენდაცია II[15]	გაუმჯობესდეს სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი სახით (მათ

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ, სასურველია ეს მოხდეს საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ აღნიშნავს, რომ ეს კლასტერული რეკომენდაცია ძირითად ეხება მოდულური სისტემით აგებულ პროგრამებს, მათ შორის „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამას. ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ პროგრამითა და პროგრამის შემადგენელი ცალკეული კურსებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია განმახორციელებელი პერსონალისთვის პროგრამის სამომავლო განვითარების სტრატეგიის დასახვისათვის. შესაბამისად, უსდ ჩამოთვლის ყველა ღონისძიებას, რომლებიც გატარდა რეაკრედიტაციის მზადებისა და პროგრამის მოდერნიზების პროცესში სტუდენტთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისათვის. მათ შორის დასახელებულია სტუდენტთა გამოკითხვა მათ მიერ გავლილი თითოეული სასწავლო კურსის შესაფასებლად, რომელიც ტარდება ყოველი სემესტრის დასასრულს. გამოკითხვა ხდება ელექტრონული ბაზის მეშვეობით ნებაყოფლობით. აღნიშნულია, რომ მსგავსი გამოკითხვა იძლევა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტთა სწავლებითა და სასწავლო კურსებით კმაყოფილების ზოგად სურათს. ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ახალი მექანიზმი – სტუდენტთა ინტერესების ჩაღრმავებული თვისობრივი კვლევა ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუირების საშუალებით. აღნიშნული კვლევა განსაკუთრებით ეფექტურია სტუდენტთა შერეულ ჯგუფებში და წარმოადგენს დარგობრივი პრობლემის აღმოჩენისა და ხარისხის გაუმჯობესების უკეთეს მექანიზმს. ამასთან, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამული გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენის მიზნით, დაგეგმა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა ყოველწლიური რაოდენობრივი ანონიმური გამოკითხვა, რაც იქნება ხარისხის გაუმჯობესების კიდევ ერთი დამატებითი მექანიზმი.

	აგრეთვე საანგარიშო პერიოდში უსდ-მ LMS.TSU.GE-ს ნაცვლად დანერგა ახალი, ოპერაციულად უფრო სრულყოფილი და მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge. ახალი პლატფორმა შესაძლებლობას იძლევა ონლაინ რეჟიმში იქნას გამოთხოვილი სხვადასხვა საჭირო დოკუმენტი. მათ შორის, შუალედური შეფასებები, სემესტრის ბოლოს კი კურსის საბოლოო შეფასებები. ბაზის მეშვეობით შესაძლებელია სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, რომელთა დამუშავება მარტივადაა შესაძლებელი. სასწავლო საგნების ელექტრონულ უწყისებს თან ახლავს გაუსის სქემა, რაც აადვილებს შედეგებისა და ნორმიდან გადაცდომების დამუშავებას. შესაბამისად, შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა და ავტომატიზებული ადმინისტრირება. წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ უსდ-მ გაატარა რამოდენიმე ღონისძიება სტუდენტთა კმაყოფილების სისტემის გაუმჯობესებისათვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, როგორც ტრადიციული ანონიმური გამოკითხვის სისტემა, რომელიც ტარდება ელექტრონული წესით ყოველი სემესტრის დასასრულს და იძლევა სასწავლო კურსებით კმაყოფილების ზოგად სურათს, ასევე ახალი მექანიზმიც, რომელიც მიმართულია სტუდენტთა ინტერესების ჩაღრმავებული თვისობრივი კვლევის მიმართულებით ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუირების მეშვეობით. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი იძლევა საშუალებას მონაცემების მიღებას არა მხოლოდ ცალკეული კურსის, არამედ მოდულის შეფასებისათვის. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ფაკულტეტის ხუს-ის მიერ დაგეგმილი სტუდენტთა ყოველწლიური რაოდენობრივი ანონიმური გამოკითხვა. საანალიზოდ წარმოდგენილი სტუდენტთა პროგრამული გამოკითხვის ფორმა შედგება 20 პუქტისაგან, რომელთაგან 14 გულისხმობს კითხვში მოცემული პასუხების მონიშვნას, ხოლო 6 კითხვაზე ცოტა ვრცელი პასუხის გაცემას, რომლებიც ეხება პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი საგნებით კმაყოფილებას, პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას, პროგრამის ან შესახებ აზრის გამოთქმას. განსაკუთრებით საინტერესოა ახალი ოპერაციულად უფრო

	სრულყოფილი და მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის გამოკითხვების ჩატარება და მონაცემების გაანალიზება. ასევე მისი მეშვეობით სტუდენტს ძეუძლია ნახოს შუალედური და საბოლოო შეფასებები ელექტრონული უწყისების სახით, რომელთაც ახლავს გაუსის სქემა. შესაბამისად, ნათელია, რომ უსდ-მ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემის გაუმჯობესებისათვის, რაც იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი მონაცემების მიღება როგორც პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მიერ. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის პროგრამული დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომათა ოქმები; • ახალი, ოპერაციულად მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge; • პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენის მიზნით სტუდენტთა პროგრამული გამოკითხვის ფორმა..

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III[16]	რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულ ECTS კრედიტებთან.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება აღნიშნულ

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	რეკომენდაციასთან დაკავშირებით არ აზუსტებს ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული „ახალი და უახლესი ისტორიის“ საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სასწავლო კურსების მიმართ იქნა გაცემული ეს რეკომენდაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა კრიტიკულად გადასინჯა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები და მათში არსებული სასწავლო მასალა, კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა და მათი შესაბამისობა დასაძლევი სასწავლო მასალის მოცულობასთან. პროგრამის სასწავლო კურსების უმრავლესობაში სააუდიტორიო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ითვალისწინებს კურსების თავისებურებებს და არ აღემატება კვირეულ სამ საათს იმის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელი მუშაობის საათები სტუდენტს აკადემიურ დამოუკიდებლობასა და ავტონომიურ უნარებს გამოუმუშავებს. უსდ აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი 1.5 კომპონენტის აღწერაში მითითებული რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში როგორც სასწავლო მასალის, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ასევე განახლდა და სისტემატიზებულ იქნა სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის, უახლესი გამოცემებით. უსდ ასევე აღნიშნავს, რომ პერმანენტულად მუშაობს სასწავლო მასალების განახლებაზე დარგის სიახლეების გათვალისწინებით. წარმოდგენილი მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში (გვ. 35 -36 და 39) და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში (გვ. 4) აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნამდვილად არ არის დაკონკრეტებული თუ რომელ სასწავლო კურსებს ეხება ის. ხოლო რაც შეეხება უსდ-ს პოზიციას, რომ პერმანენტულად მიმდინარეობს სასწავლო მასალის გადახედვა დარგის სიახლეების გათვალისწინებით, მისაღებია. საანალიზოდ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: 1. სასწავლო კურსის „ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსკენ (1898-1945) მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს, ხოლო

	სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია 7 სახელმძღვანელო; 2. სასწავლო კურის „გლობალიზაცია და თანამედროვე პრობლემები“ მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს, ხოლო სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია სამ ათეულზე მეტი სახელმძღვანელო; 3. სასწავლო კურსის „მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და აღსასრული“ მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს, ხოლო სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია 4 სახელმძღვანელო. 4. სასწავლო კურსის „საფრანგეთი XVII საუკუნეში“ მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს, ხოლო სავაალდებულო ლიტერატურად მითითებულია 6 სახელმძღვანელო. 5. სასწავლო კურსის „ცივი ომი“ მოცულობა შეადგენს 10 კრედიტს, ხოლო სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია 7 სახელმძღვანელო. ხუთი სასწავლო კურსის ანალიზმა აჩვენა, რომ ოთხ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა ადექვატურია კრედიტების რაოდენობასთან, ხოლო ერთ სასწავლო კურსში კი ლიტერატურის რაოდენობა აღემატება კრედიტების მითითებულ რაოდენობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნასა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში არ არის დაკონკრეტებული რომელ სასწავლო კურსებს შეეხება აღნიშნული რეკომენდაცია, უსდ-ს მიერ გატარებული ღონისძიებები ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შეიძლება შეფასდეს დადებითად. ხოლო 5 სასწავლო კურსის სილაბუსების ანალიზის გათვალისწინებით რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ

	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • სასწავლო კურსის სილაბუსები: ✓ გლობალიზაცია და თანამედროვე პრობლემები; ✓ ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსკენ (1898-1945); ✓ მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და აღსასრული; ✓ საფრანგეთი XVII საუკუნეში; ✓ ცივი ომი.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV[17]	რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არ აზუსტებს ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული „ახალი და უახლესი ისტორიის“ საგანმანათლებლო პროგრამის რომელი სასწავლო კურსების მიმართ იქნა გაცემული ეს რეკომენდაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა კრიტიკულად გადასინჯა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები და მათში მოტანილი სასწავლო მასალა. უსდ ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსთა პერიოდული კრიტიკული რევიზია და განახლება მუდმივად მიმდინარეობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, საანგარიშო პერიოდში ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ქვემოჩამოთვლილ კურსებში განახლდა სასწავლო ლიტერატურა, რიგ შემთხვევაში შევიდა ცვლილებები სწავლების მეთოდებსა და შეფასების წესში: 1. გლობალიზაცია და თანამედროვე პრობლემები; 2. ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსკენ (1898-1945); 3. მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და აღსასრული; 4. საფრანგეთი XVII საუკუნეში; 5. ცივი ომი (შეიცვალა ავტორი); პროგრამას არჩევითი სტატუსით დაემატა ორი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი, რაც პროგრამის ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს ხელს: 1. Russia and Conflicts in the Post-Soviet Space; 2. The Marxist Experiment in Russia: The Rise and Fall of the Evil Empire. უსდ აღნიშნავს, რომ ეს კურსები შეთავაზებულ იქნება როგორც ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის, ისე გაცვლითი პროგრამებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოსული უცხოელი სტუდენტებისათვის. შევნიშნავთ, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მითითებული თუ რომელი სასწავლო კურსის სილაბუსში რა და რამდენი ლიტერატურა არის განახლებული. შესაბამისად, გარკვეული ტენდენციის გამოკვეთისათვის შევისწავლეთ საანალიზოდ წარმოდგენილი ხუთი სასწავლო კურსის სილაბუსი, რამაც მოგვცა შემდეგი შედეგი: ✓ სასწავლო კურსის „გლობალიზაცია და თანამედროვე პრობლემები“ სამ ათეულამდე სავალდებულო ლიტერატურიდან ერთი არის 2023, ერთი 2021, ერთი 2020, ერთი 2017, ორი 2015, ერთი 2014, ერთი 2013, ერთი 2011 წელს, ხოლო 17 კი 2001-2010 წლებშია გამოცემული; ✓ სასწავლო კურსის „ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსკენ (1898-1945)“ - შვიდიდან ერთი სავალდებულო ლიტერატურა არის 2023, ერთი 2017, ერთი 2016, ერთი 2008, ერთი 2001 წელს გამოცემული; ✓ სასწავლო კურსის „მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და აღსასრული“ - ოთხი სავალდებულო ლიტერატურიდან ერთი არის

	2021 წელს გამოცემული, ხოლო დანარჩენი სამი 2008, 2009 და 2006 წელს; ✓ სასწავლო კურსის „საფრანგეთი XVII საუკუნეში“ ექვსი სავალდებულო სასწავლო კურსიდან ერთი 2011, ერთი 2004 და ერთი 2001 წელს არის გამოცემული; ✓ სასწავლო კურსის „ცივი ომი“ – შვიდიდან ერთი სავალდებულო ლიტერატურა არის 2023, ერთი 2017, ერთი 2015, სამი 2010 წელს , ერთი კი 2008 წელს არის გამოცემული. ხუთი სასწავლო კურსის ანალიზი ცხადყოფს, რომ მათში მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან 6 გამოცემულია 2020-2023 წლებში, 10 - 2010-2019 წლებში, ხოლო 25 - 2000-2009 წლებში. სულ 2000-2023 წლებში გამოცემული ლიტერატურის რაოდენობა ხუთი სასწავლო კურსის სილაბუსში კი შეადგენს 41-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • სასწავლო კურსის სილაბუსები: ✓ გლობალიზაცია და თანამედროვე პრობლემები; ✓ ამერიკის შეერთებული შტატები: გზა ზესახელმწიფოსკენ (1898-1945); ✓ მარქსისტული ექსპერიმენტი რუსეთში: ბოროტების იმპერიის აღზევება და აღსასრული; ✓ საფრანგეთი XVII საუკუნეში; ✓ ცივი ომი.

რჩევები

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რჩევა I [18]	პროგრამების სწავლის შედეგები, მკაფიოა, თუმცა ისინი მუდმივად ცხადად უნდა ჩანდეს სილაბუსებში (ამჟამად ისინი არის), სტუდენტთა სახელმძღვანელოებში და ვებგვერდზე სტუდენტთა სარგებლობისთვის. ტრანსფერულ შედეგებზე (უნარებზე) ყურადღების გამახვილება არსებითი მნიშვნელობისაა იმისათვის, რომ თითოეული პროგრამის ღირებულების შესახებ კომუნიკაცია მოხდეს სამინისტროსთან, პოტენციურ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პერსონალს გაცნობიერებული აქვს, რომ პროგრამაში შეტანილი ყოველი ცვლილება კორელაციაში უნდა იყოს პროგრამის მიზან-შედეგებთან და ნებისმიერი ახალი ან რედაქტირებული სასწავლო კომპონენტის შედეგი თანხვედრაში მოდიოდეს პროგრამულ შედეგებთან. ასევე ნებისმიერი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროგრამით დაინტერესებული ნებისმიერი მხარისათვის (სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი...). რაც ხორციელდება შემდეგი გზებით: ✓ პროგრამების განვითარების მხარდამჭერი მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელშიც შედიან - პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, შრომითი ბაზრისა და მონათესავე პროფილის ორგანიზაციების წარმომადგენლები; ✓ განახლებული პროგრამების, სასწავლო გეგმების და სხვა მასალების განთავსება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე; ✓ განახლებული სილაბუსების ატვირთვა სასწავლო პროცესის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე uni.tsu.ge;

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	✓ საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პროგრამებით დაინტერესებულ ყველა პირთან, მათ შორის, დამსაქმებელთან; ტუტორიალის გააქტიურება სწავლის დაწყებამდე, სემესტრული რეგისტრაციის პერიოდებში; ✓ ყოველწლიური საუნივერსიტეტო ღია კარის დღეების ორგანიზება; ✓ პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელებით (სტუდენტური მიღწევები და წარმატებებიდა სხვ.). უსდ ასევე განმარტავს, რომ მიმდინარეობს პროგრამით დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია პროგრამის ტრანსფერულ უნარებზე ყურადღების გამახვილების მიზნით, რისთვისაც განხორციელდა კლასტერული აკრედიტაციისთვის მზადებისას შრომითი ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა, რომლის ამოცანა იყო ისტორია-არქეოლოგიის პროფილის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის შესწავლა და დამსაქმებელთა მხრიდან მოთხოვნილი კომპეტენციების იდენტიფიცირება. გამოიკითხა ასზე მეტი პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაცია, რომელთაც მიეწოდა ინფორმაცია კლასტერის შემადგენლობაში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების მიზან-შედეგების შესახებ. გამოკითხვის შედეგად შედგა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობის ცხრილი „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. კვლევამ აჩვენა, რომ პროფილურ დამსაქმებელთა დიდი ნაწილი ჩართულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარების პროცესშიც, რაც გამოიხატება ფოკუს-ჯგუფებსა და შეხვედრებში მონაწილეობასა და საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირ შეფასებაში. ამ პროცესში შრომის ბაზრის წარმომადგენელთა ჩართულობას ითვალისწინებს უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის სახელმძღვანელო დოკუმენტი – აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100 დადგენილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“. პროგრამულ კომიტეტში, რომელიც კონკრეტული დარგობრივი პრინციპით კომპლექტდება, მონაწილეობენ არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელი პირები,

	არამედ სტუდენტები, დამსაქმებლები, დარგის ექსპერტები. დამსაქმებელთან და შრომით ბაზართან პერმანენტული და მჭიდრო კოორდინაციის პროცესი ამით არ სრულდება და როგორც პროგრამული კომიტეტის ფარგლებში, ისე მის გარეთ, დამსაქმებლისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნები პროგრამული ცვლილებების საფუძველი მუდმივად იქნება. საანალიზოდ წარმოდგენილი მასალების (მათ შორის სასწავლო კურსების სილაბუსების) შესწავლამ აჩვენა, რომ რჩევაში მითითებული ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგების სილაბუსებში ასახვის შესახებ ნამდვილად დასტურდება. ასევე უსდ იყენებს მრავალ საშუალებას „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის ტრანსფერული შედეგების (უნარების) შემუშავებისა და მათ შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისათვის: პროგრამის განვითარების კომიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge; საინფორმაციო შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ტუტორიალი, ღია კარის დღეები, სოციალური ქსელები და სხვა. ასევე ირკვევა, რომ უსდ პროგრამის შედეგების, მათ შორის ტრანსფერული უნარების შემუშავების პროცესში განსაკუთრებულ პრიორიტს ანიჭებს შრომის ბაზრის ფართომასშტაბიან კვლევებს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორის ასზე მეტმა წარმომადგენელმა: საგანმანათლებლო სფერო, არქივები, სამეცნიერო ცენტრები, მუზეუმები, არქივები, მუზეუმები, კულტურისა და განათლების სამინისტროები და სხვ., მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ უსდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფილური დამსაქმებლების ჩართვას პროგრამის შემუშავებისა და შემდგომი განვითარების პროცესში. აღნიშნული გამოიხატება ფოკუს-ჯგუფებსა და შეხვედრებში მონაწილეობაში და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამული კომიტეტის მუშაობაში უშუალო ჩართულობაში. ასევე შევნიშნავთ, რომ ერთწლიანი ანგარიშის მიხედვით რჩევას უნივერსიტეტი ითვალისწინებს, თუმცა რა ახალი ღონისძიებები იქნა გატარებული ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში, მითითებული არ არის. აღნიშნულის მიუხედავად ვფიქრობთ, რომ უსდ-ს აქვს ყველა მექანიზმი პროგრამის განვითარების მიმართულებით მუდმივი მუშაობის, მათ შორის პროგრამის შედეგების სრულყოფის თვალსაზრისით და მათ შესახებ

	დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მიზნით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უსდ ითვალისწინებს რჩევას.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტი; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის პროგრამული დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომათა ოქმები; • თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ გვერდი.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რჩევა II, III, IV [19]	• ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ელექტრონული რიდერის შექმნა; • ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დეპარტამენტმა განიხილოს მაგისტრანტების მიერ საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისგან განსხვავებული შეფასებით (მათი სწავლების დონის ასახვის მიზნით). ქართულ ენაზე ონლაინ რიდერი შეიძლება იყოს წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ ენაზე განახლებული ბიბლიოგრაფიის ნაკლებობის დასაძლევად;

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	• ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს დეპარტამენტს განიხილოს პროგრამის აქ წარმოდგენილი შეფასება და ასეთივე წარმატებით განაგრძოს მუშაობა. ასევე რეკომენდებულია სხვადასხვა პროგრამების განხილვა და განახლება იმ მიზნით, რომ პროგრამები მუდმივად აქტუალური იყოს; ასევე გააფართოვოს კურიკულუმები საქართველოსათვის მნიშვნელოვან სფეროების დამატებით და ასევე, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.
შეფასება	**II რჩევა** - აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალმა ჯერ კიდევ პანდემიის დროიდან აქტიურად იმუშავა ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო დისციპლინებისთვის ელექტრონული კურსების შექმნისა და მუდლის პლატფორმაზე განთავსებასთან დაკავშირებით, სადაც ასევე აიტვირთა ამ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული გაციფროვნებული სავალდებულო ლიტერატურა, პრაქტიკული დავალებები და ა.შ., მათ შორისაა სასწავლო კურსის რიდერებიც, რომლებსაც განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა იმ შემთხვევებში, როცა საგანში ქართულენოვანი სახელმძღვანელო არ არსებობს. უსდ აღნიშნავს, რომ ელექტრონული სასწავლო კურსების შექმნა მუდლის პლატფორმაზე გრძელდება და ამ პროცესში მონაწილეობენ დარგობრივი პროფილის დოქტორანტებიც, რომლებიც, პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კრედიტების ფარგლებში, სამეცნიერო ხელმძღვანელთა ინსტრუქციითა და ზედამხედველობით, აციფრულებენ კონკრეტულ სასწავლო კურსებს. უსდ ასევე მიუთითებს, რომ გარდა სასწავლო კურსებისა, გაციფრულებულია საბიბლიოთეკო მასალების დიდი ნაწილი და აგრეთვე გამარტივებულია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. შევნიშნავთ, რომ რჩევა ეხება ახალი ელექტრონული რიდერების შექმნას, თუმცა ანგარიშში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ სასწავლო კურსში მოხდა ახალი ელექტონული რიდერის შემუშავება. უსდ-ს მტკიცებულებად მოჰყავს მუდლის პლატფორმის ლინკი, სადაცაა განთავსებული ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში შემავალი პროგრამების ელექტრონული სასწავლო კურსები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი, უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებგვერდი და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. მუდლის ელექტრონული პლატფორმის ანალიზმა აჩვენა, რომ აქ ცალკეა გამოყოფილი „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის გვერდი, სადაც ჩამოთვლილია სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიები, მათ შორის: ✓ აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს პერიოდში; ✓ რისორჯიმენტო და იტალიის გაერთიანება; ✓ საქართველო და ისლამური სამყარო; ✓ შორეული აღმოსავლეთის ისტორია; ✓ ცივი ომი; ✓ შორეული აღმოსავლეთის უახლესი ისტორია;

- ✓ ინგლისი XVII საუკუნეში;
- ✓ მეორე მსოფლიო ომის ისტორია;
- ✓ პირველი მსოფლიო ომის ისტორია;
- ✓ შორეული აღმოსავლეთის ახალი ისტორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ რჩევა გათვალისწინებულია.

III რჩევა - აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ ამ რჩევის გათვალისწინება, რომელიც ეხება მაგისტრანტისათვის საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობის მიცემაზე, ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგანაც საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ ნორმატივებს ეწინააღმდეგება. ასეთი საგანი სტუდენტს კრედიტებში ვერ უღიარდება და ვერც შეფასება აესახება. ამ რჩევის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტი საბაკალავრო პროგრამიდან რომელიმე საგანს გაივლის თავისუფალი მსმენელის სტატუსით, ოფიციალური შეფასების და კრედიტის გარეშე. უსდ აღნიშნავს, რომ მსგავსი პრაქტიკა არსებობს სტუდენტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემთხვევაში.

უსდ-ს პოზიცია ამ რჩევასთან დაკავშირებით ნათელია და ჩვენ ვიზიარებთ მას.

IV რჩევა - აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, მისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის გარე შეფასებისას მიღებული რეკომენდაციები და რჩევები, როგორც პროგრამის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. შესაბამისად, ისინი პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებელი პერსონალის და ფაკულტეტის ხუს-ის განსაკუთრებული ყურადღების საგანია და რეაგირების გარეშე არასდროს რჩება. რაც შეეხება რჩევის იმ ნაწილს, რომელიც ეხება პროგრამის კურიკულუმის გაფართოებას საქართველოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კურსებით, რაც გაზრდის სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობებს, უსდ შენიშნავს, რომ კლასტერში შედის „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოიცავს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მოდულს და დუბლირების თავიდან ასაცილებლად „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სასწავლო კურსებზე აქცენტირება ვერ კეთდება. თუმცა შესაძლებელია გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ისტორიის ცალკეული კურსების შემოტანის საკითხი არჩევითი კურსების სახით განხილული იქნეს.

უსდ-ს პოზიცია ამ რჩევასთან დაკავშირებით ნათელია და ჩვენ ვიზიარებთ მას. ასევე შევნიშნავთ, რომ მისასალმებელია უსდ-ს პოზიცია გარე შეფასებისას მიღებული რეკომენდაციების და რჩევების მიმართ გასაკუთრებული ყურადღების გამოჩენისა მათი გათვალისწინების თვალსაზრისით. ასევე აღვნიშნავთ, რომ უსდ-მ საანგარიშო პერიოდში მოახდინა პროგრამის განახლება და შევსება ორი ორი უცხოენოვანი

	არჩევითი სასწავლო კურსით: 1. Russia and Conflicts in the Post-Soviet Space; 2. The Marxist Experiment in Russia: The Rise and Fall of the Evil Empire. შესაბამისად, რჩევა გათვალისწინებული იქნა პროგრამის აქტუალობის თვალსაზრისით მისი განახლების მიზნით.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიაარქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ 21 საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • ახალი ორი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის სილაბუსი: 1. Russia and Conflicts in the Post-Soviet Space; 2. The Marxist Experiment in Russia: The Rise and Fall of the Evil Empire; • მუდლის პლატფორმაზე e-learning. tsu.ge განთავსებული ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული სასწავლო კურსები: https://e-learning.tsu.ge/course/index.php?categoryid=210; • თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი: https//www.tsu.ge/ka/library; • უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებგვერდი: http://www.sciencelib.ge/; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა https://www.tsu.ge/ka/scientificrelations/page/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-DSRD 22

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რჩევა V[20]	ბაკალავრიატის შემდგომ საფეხურებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს, ინფორმაცია წარმოდგენელი იყოს ყველა

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შესაბამის ონლაინ ფორმატში. განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისთვის, დეპარტამენტმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ამ პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ღიაობისთვის, რომ მიიღოს სტუდენტები სხვადასხვა ადგილებიდან.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ რჩევასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას დიდი მნიშნელობა ენიჭება. ამ პროცესს კოორდინაციას და მონიტორინგს რამდენიმე საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული უწევს. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის სახელმძღვანელო დოკუმენტია – აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100 დადგენილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერილობის ერთიან საუნივერსიტეტო ფორმას, სადაც საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია პროგრამაზე მისაღები წინაპირობები. უსდ ხაზგასმით აღნიშნავს ნებისმიერი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ. ხოლო რაც შეეხება პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რასაც რჩევის კონტექსტი გულისხმობს სხვადასხვა ადგილებიდან სტუდენტთა მიღების თვალსაზრისით, უსდ შენიშნავს, რომ ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა, ამ ეტაპზე ქართულ ენაზე ხორციელდება. წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ვითარება. მაგალითად, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით კლასტერულ შეფასებაში (გვ. 50-51) მითითებულია, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს აქვთ მიღების მკაფიო წინაპირობები და სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით პროგრამაზე დაშვების პროცესი აშკარა და გამჭვირვალე ჩანს. ასევე სტუდენტთა და განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრების დროსაც ამ მიმართებით არანაირი პრობლემები არ გამოვლენილა. შევნიშნავთ, რომ არც დასკვნის ნაწილში „რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით“ (გვ. 52) არ არის რაიმე შენიშვნა კონკრეტულად „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამა განთავსებულია თსუ

	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი გაცნობა, მათ შორის სრული ინფორმაციის მიღება პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, რჩევის პირველი ნაწილი გათვალისწინებულია. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში (გვ. 1) მითითებულია, რომ „უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“. კერძოდ, ამ საკითხს განსაზღრავს ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლი. შესაბამისად, უსდ-ს პოზიცია ამ რჩევის მეორე ნაწილთან დაკავშირებით მისაღებია.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონკრეტულად, ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი (საგანმანათლებლო პროგრამები) https://www.tsu.ge/ka/faculty/184/%E1%83%B0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/programs

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
რჩევა VI [21]	კლასტერს სარგებელს მოუტანს სტაჟირების გარკვეული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის მკაფიო შედეგები. ფაკულტეტის წარმომადგენელი თითოეულ პროგრამაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სტაჟირებას, პერიოდულად უნდა ახორციელებდეს ადგილზე ვიზიტს, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ რჩევა კლასტერულია, ხოლო სტუდენტთა კონსულტირება, მათ შორის, მათი სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, საუნივერსიტეტო სერვისების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რასაც ემსახურება თსუ სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი. ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია ითვალისწინებს სტაჟირების, პრაქტიკის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში სტუდენტთა ხელშეწყობას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების მომზადება-გაფორმებას სტაჟირების პროგრამების მქონე დაწესებულებებსა და კომპანიებთან. ცენტრი სტუდენტების ხელს უწყობს დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში; ახდენს სტუდენტების ინფორმირებას შრომის ბაზრის შესაძლებლობების, პერსპექტივების შესახებ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების საშუალებით; ატარებს ტრენინგებს, ეხმარება სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციის, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში; იწვევს დაინტერესებულ სტუდენტებს თემატურ ღონისძიებებში, სემინარებში, შეხვედრებში, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად. შევნიშნავთ, რომ კლასტერული რჩევა ძირითადად ეხება იმ პროგრამებს, რომლის სასწავლო კომპონენტში ჩართულია პრაქტიკა ან სტაჟირება. მიუხედავად იმისა, რომ „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში ეს კომპონენტი არ არსებობს, თსუ სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი ატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ფაკულტეტის სამივე საფეხურის პროგრამების სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. ხოლო რჩევის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტის წარმომადგენელის პერიოდულ ვიზიტს სტაჟირების ადგილზე, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება, ასევე არ ეხება „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამას და შესაბამისად, მასზე პასუხი სავალდებულო არ არის.

მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; • „ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა; • თსუ სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ვებგვერდი (ტრენინგების, კონსულტაციების, სტაჟირების პროგრამების შესახებ ინფორმაცია): https://www.tsu.ge/ka/student-work

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები. მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რჩევა VII, VIII, IX, X [22]	• ინტენსიური გახდეს საქმიანობა დარგზე ორიენტირებული სტაჟირებების მიმართულებით, კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტებისთვის; • გაძლიერდეს არსებული საკომუნიკაციო არხები სტუდენტებსა და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციულ სერვისებს შორის; • გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს მაგისტრანტებისთვის არსებული მხარდაჭერის სერვისების მექანიზმები, სამომავლოდ უცხოურ გაცვლით პროგრამებში მათი აქტიურად ჩართულობის მიზნით; • განიხილოს დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტების ჩართვა და გაძლიერება შესაბამის უცხო ენების კურსებში.
შეფასება	**რჩევა VII** - აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ სტუდენტთა კონსულტირებას მათი სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ძირთადად ემსახურება თსუ სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი. ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია ითვალისწინებს: ✓ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების მომზადება/გაფორმებას სტაჟირების

X[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროგრამების მქონე დაწესებულებებსა და კომპანიებთან; ✓ სტუდენტების ინფორმირებას შრომის ბაზრის შესაძლებლობების, პერსპექტივების შესახებ; ✓ ეხმარება სტუდენტებს პროფესიულ ორიენტაციაში ✓ ატარებს ტრენინგებს, თემატურ ღონისძიებებს სემინარებს, შეხვედრებს და დასაქმების ფორუმებს. უსდ აღნიშნავს, რომ რჩევა კლასტერულია და ძირითადად ეხება იმ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკასა და სტაჟირებას. ასევე ჩამოთვლილია ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრი. შევნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს რჩევა კლასტერულია, სასურველი იქნებოდა ანგარიშში მოყვანილი ყოფილიყო კონკრეტული მაგალითები „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობისა იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრი. უსდ თავის ანგარიშში ძირითადად შემოიფარგლა ზოგადი პასუხით, რომელშიც ნაკლებად ჩანს, თუ რა გაკეთდა საანგარიშო პერიოდში რჩევის გათვალისწინების მიზნით კონკრეტულად „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამისათვის. შესაბამისად, რჩევა ნაწილობრივ არის შესრულებული. **რჩევა VIII** - აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ საანგარიშო პერიოდში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების საფაკულტეტო/საუნივერსიტეტო ადმინისტრაციულ სამსახურებთან საკომუნიკაციო არხების გაძლიერების, ადმინისტრაციული სერვისების მიწოდების და ზოგადად სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ტექნოლოგიურად გაუმჯობესება-განვითარების მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში LMS.TSU.GE-ს ნაცვლად დაინერგა ახალი, ოპერაციულად უფრო სრულყოფილი და მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge,, რომელიც შექმნილია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით და გამართულია სერვერულად. ახალი პლატფორმა

	შესაძლებლობას იძლევა, შეფერხებების გარეშე, მცირე დროში, ონლაინ რეჟიმში იქნას მიწოდებული ფართო სპექტრის ინფორმაცია, განხორციელდეს უკუკავშირი, სტუდენტმა უმოკლეს დროში მიიღოს საჭირო და მისთვის სასურველი ადმინისტრაციული მომსახურება. წარმოდგენილი მასალების შესწავლამ დაადასტურა უსდ-ს მიერ VIII რჩევის გათვალისწინება. ახალი ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge ნამდვილად აძლიერებს საკომუნიკაციო საშუალებებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადმინისტრაციულ სერვისებსა და ფაკულტეტის ყველა საფეხურის პროგრამის, მათ შორის „ახალი და უხლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შორის. **რჩევა IX და X** - აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, ის აქტიურად თანამშრომლობს 56 ქვეყნის 200-ზე მეტ პარტნიორ უნივერსიტეტთან და კვლევით ცენტრთან. ასევე უსდ ჩართულია და მონაწილეობს 150-ზე მეტ ევროპულ უნივერსიტეტთან „ერაზმუს+“ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამებსა და ორმხრივი თანამშრომლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედ გაცვლით პროგრამებში. უსდ სამივე საფეხურის სტუდენტებს სთავაზობს უცხოური სასტიპენდიო პროგრამების საკმაოდ ფართო სპექტრს. საუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რაც გულისხმობს სტუდენტთა უცხოურ გაცვლით აკადემიურ სასწავლო პროგრამებსა თუ საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად წახალისებას, ბუნებრივად ითხოვს უცხოური ენების სწავლების სათანადოდ დაგეგმვასა და გაძლიერებაზე ზრუნვას. რაც შეეხება კონკრეტულად „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამას, მიღების წინაპირობა ითვალისწინებს უცხო ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) მისაღები გამოცდის ჩაბარებას B1 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით, ხოლო შემდეგ სთავაზობს მათ მიერ ჩაბარებული ენის ცოდნის B2 დონემდე ამაღლებას ორსემესტრიანი სპეციალიზებული ენის კურსით. ასევე პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა ინგლისურ ენაში სტუდენტთა

	აკადემიური დარგობრივი ცოდნის დონისა და ენობრივი კომპეტენციების ამაღლების საჭიროებიდან გამომდინარე, მოამზადა და პროგრამის სტრუქტურაში შეიტანა ორი ახალი ინგლისურენოვანი არჩევითი საგანი: • Russia and Conflicts in the Post-Soviet Space; • The Marxist Experiment in Russia: The Rise and Fall of the Evil Empire რაც შეეთავაზება როგორც პროგრამის სტუდენტებს, ისე გაცვლითი Erasmus + პროგრამებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოსულ უცხოელ სტუდენტებს. უსდ აღნიშნავს, რომ უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის დონის ამაღლებაზე ზრუნვა რეაკრედიტებული პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ინგლისურენოვანი დარგობრივი სასწავლო კურსების მომზადება-დანერგვა პერმანენტული პროცესია, რომელიც გაგრძელდება. წარმოდგენილი მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ უსდ ზრუნავს რჩევის გათვალისწინებაზე. „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში (გვ. 1) მიღების ერთ-ერთ წინაპირობად მითითებულია უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). ასევე პროგრამის სასწავლო გეგმაში (გვ. 6) არჩევით კურსებში შეტანილია 2 სემესტრად 10 კრედიტის მოცულობით უცხო ენის კომპეტენციის ასამაღლებელი კურსები: 1. უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) I; 2. უცხოური ენა (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული) II. ამავე მიზანს ემსახურება პროგრამის სტუდენტებისათვის ორი ახალი ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება: Russia and Conflicts in the Post-Soviet Space; The Marxist Experiment in Russia: The Rise and Fall of the Evil Empire. (სასწავლო კურსის სილაბუსები). აღვნიშნავთ, რომ უსდ-მ მართლაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა IX და X რჩევის გათვალისწინების მიზნით. თუმცა სასურველი იქნებოდა გამიჯნული ყოფილიყო ამ რჩევაზე პასუხები. ასევე კარგი იქნებოდა, რომ დაკონკრეტებულიყო მტკიცებულად მოყვანილი ინფორმაციები. მაგალითად, ერთ-ერთ დანართად

	წარმოდგენილია დოკუმენტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ 2018-2024 წლებში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მითითებული საანგარიშო პერიოდში რამდენი სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლით პროგრამებში კონკრეტულად „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამიდან. დოკუმენტის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 2023 წლის გაზაფხულის და 2024 წლის შემოდგომის სემეტრებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის სამივე საფეხურის 28 სტუდენტმა, მათ შორის სამაგისტრო პორგრამის 9 სტუდენტმა. თუმცა დოკუმენტში არ არის მითითებული კონკრეტული სამაგისტრო პროგრამები. რაც შეეხება X რჩევას, აქ მტკიცებულებად დასახელებულია ორი სასწავლო კურსი: უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) I და უცხოური ენა (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული) II. თუმცა ანგარიში ასევე არ აკონკრეტებს, რამდენად არის მათში ჩართული და გაძლიერებული დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტი. არც დასახელებული სასწავლო კურსების სილაბუსებია წარმოდგენილი მტკიცებულებად. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ უსდ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა 3.1 კომპონენტის 4 რჩევის შესასრულებლად. VII რჩევა ნაწილობრივ არის გათვალისწინებული, VIII და IX რჩევები სრულად, ხოლო X რჩევის შესრულება ვერ მოწმდება კონკრეტული ინფორმაციის არ არსებობის გამო.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • ახალი, ოპერაციულად მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა uni.tsu.ge; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა, დამტკიცებული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (15.03.2024 ოქმი №4) და თსუ აკადემიურ საბჭოზე (18. 03. 2024); • ახალი ორი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის სილაბუსი:

	✓ Russia and Conflicts in the Post-Soviet Space; The Marxist Experiment in Russia: ✓ The Rise and Fall of the Evil Empire; • თსუ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საიტი https://www.tsu.ge/ka/foreign-relations

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსები
რჩევა XI[23]	ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია, პერიოდულად შეამოწმოს სადოქტორო და სამაგისტრო საშრომების ხელმძღვანელთა სამუშაო დატვირთვა.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასებისას ხელმძღვანელობს თსუ სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესით და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიცირებით შემუშავებული თსუ მინიმალური სამეცნიერო სტანდარტით. შემდეგ ანგარიშში ზოგადადაა აღწერილი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის საქმიანობა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების – სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების სამეცნიერო პროდუქტიულობის ანალიზისა და შეფასების მიზნით. შევნიშნავთ, რომ კლასტერული რჩევა ეხებოდა საკითხს მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური ლიმიტის გადახედვის შესახებ. უსდ აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხობს, რომ ეს საკითხი არ არის მხოლოდ კონკრეტული, ისტორია-არქეოლოგიის კლასტერში შემავალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების პრეროგატივა. სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში მას არეგულირებს საუნივერსიტეტო დოქტორანტურის სტანდარტი და მის საფუძველზე შექმნილი ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება, სადაც მოქმედი ნორმით „სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 7 დოქტორანტს“. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობას განსაზღვრავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი (გვ. 2), რომლის მიხედვით

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	მოქმედი ნორმით „სამეცნიერო ხელმძღვანელმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 მაგისტრანტს“. ასევე ანგარიშში განმარტებულია, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეალობაში სამეცნიერო ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა ან დოქტორანტთა თანაფარდობა დაწესებულ მაქსიმალურ რაოდენობას თითქმის არასოდეს აღწევს.. თუმცა უსდ ასევე მიუთითებს, რომ არსებული ტენდენციიდან გამომდინარე საუნივერსიტეტო დოქტორანტურის სტანდარტით დაწესებული ეს მაქსიმალური ზღვარიც გადაიხედება და დაიკლებს. უსდ-ს მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი იქნა საანგარიშო პერიოდში ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობის ამსახველი დოკუმენტი, რომლის შესწავლაც ადასტურებს ანგარიშში ასახულ ინფორმაციას. მაგრამ რა ვითარებაა ამ მხრივ სამაგისტრო პროგრამების, კონკრეტულად „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებაში გაურკვეველია. არც ანგარიშში არ არის კონკრეტული მონაცემები მოყვანილი სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. თუმცა ანგარიშიდან ირკვევა, რომ უსდ მომავალში გეგმავს სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა მაქსიმალური ზღვარის გადახედვას. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის საკითხს, უსდ ამ მიმართულებით ანგარიშის თანახმად არ აპირებს რაიმე ცვლილებას. ვფიქრობთ, რომ ამჟამინდელი მოქმედი ნორმა, რომლის მიხედვით „სამეცნიერო ხელმძღვანელმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 მაგისტრანტს“, ადეკვატურია და შესაბამისად, არ საჭიროებს ცვლილებას. რაც შეეხება კლასტერული რჩევის გათვალისწინების საკითხს, ნათელია, რომ საანგარიშო პერიოდში უსდ-მ ფიქრობს დოქტორანტებისა და მათი ხელმძღვანელობის თანაფარდობის საკითხის გადახედვას და გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • თსუ-ის აკადემიური საბჭოს 26 თებერვლის დადგენილება №81/2018 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ; • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება https://tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/debuleba_64027.pdf • თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელთა და მათ დოქტორანტთა თანაფარდობის მონაცემები საანგარიშო პერიოდში;

	• თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი; • ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები: https://www.tsu.ge/ka/faculty/911/%E1%83%B0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/page/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E 1%83%98%E1%83%A8%E1%83%98

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რჩევა XII [24]	სასურველია თანხების მოზიდვა სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევების განხორციელების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშში უსდ მიუთითებს, რომ კვლევებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევების განხორციელების ფინანსური შესაძლებლობების უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. კერძოდ, საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის

[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სამივლინებო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს (ასევე გაცვლით პროგრამებში მონაწილე და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე მიწვეული სტუდენტებისთვის ანალოგიურ ხარჯებს). უნივერსიტეტში 2017 წლიდან მიმდინარეობს სტუდენტური პროექტების დაფინანსება (ბრძანება N: 24/02-01). გამჭვირვალობის და პარიტეტის დასაცავად შექმნილია სპეციალური საბჭო, რომელშიც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც არიან წარმოდგენილი. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო და სხვა სახის პროექტების დაფინანსების საკითხის განსახილველად საბჭო იკრიბება წელიწადში 3-ჯერ. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია ასამდე სტუდენტური პროექტი. პროგრამების ფინანსური ხელშეწყობის ქმედითი მექანიზმია ასევე ERASMUS + გრანტები გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის; თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ წარდგენილ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ფუნდამენტურ სამეცნიერო პროექტებში ასევე ხშირად არიან სტუდენტები ჩართულები, რაც მათთვის კარგი მოტივაციაა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაინტერესებისათვის. უსდ-მ წარმოადგინა მასალები საანგარიშო პერიოდში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა და მაგისტრანტთა მიერ წარდგენილ შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობის და ERASMUS + გაცვლით პროგრამებში ჩართულობის შესახებ. მათი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: • **მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ მოპოვებული იქნა 2 გრანტი:** ✓ ანტიკური წყაროები (I-V სს.) კავკასიის შესახებ. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების გრანტი (04.2022-04.2025) ✓ „ვატიკანის Propaganda Fide-ს საისტორიო არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან

	დაკავშირებული წყაროების სამეცნიერი კვლევა“, HE-22-2353; 2023-2025 წლები. • **საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ მოპოვებული იქნა 3 გრანტი:** ✓ რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში (ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებების პროცესი). FR-21-22519 – სამწლიანი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი. 2022-2025; ✓ გარდამავალი ორწლიანი პროექტის დასახელებაა: „„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ სამტომეული. საქართველოს ახალი ისტორია. (1918-1921). (შიფრი № FR –21 - 13590) ფარგლებში. 2022-2024; ✓ საქართველო მუსლიმურ სამყაროსა და ევრაზიის სტეპს შორის (პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები VII-X საუკუნეებში). FR-23-17033 – სამწლიანი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი. 2023-2026. • **სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ მოპოვებული იქნა 2 გრანტი:** ✓ მუსიკა და პოლიტიკა: როგორ ებრძოდა საბჭოთა კავშირი დასავლეთის "იდეოლოგიურ გავლენას" მუსიკაში (1964-1991); ✓ როკი საქართველოში (1980-90-იანი წლები); • **სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მიერ მოპოვებული იქნა 2 გრანტი:** ✓ ტაო-კლარჯეთის მხარეები და მათი ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზი; ✓ სამოქალაქო აქტივიზმი და მისი როლი ინგუშეთის უახლეს ისტორიაში. • **ERASMUS + გაცვლით პროგრამებში ჩართულობის შესახებ მონაცემები:** ✓ 2023 წლის გაზაფხულის და 2024 წლის შემოდგომის სემეტრებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის სამივე საფეხურის 28 სტუდენტმა, მათ შორის სამაგისტრო პორგრამის 9 სტუდენტმა. თუმცა დოკუმენტში არ არის მითითებული კონკრეტული სამაგისტრო პროგრამები. აღნიშნული მონაცემები მოწმობენ, რომ უსდ-მ საანგარიშო წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კლასტერული რჩევის შესასრულებლად.

	შესაბამისად, შეიძლება ითქვს, რომ ეს რჩევა მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. თუმცა შევნიშნავთ, რომ უსდ-ს მიერ ანგარიშში რჩევის აღწერა კლასტერის კონტექსტშია მოცემული. სასურველი იყო, რომ ანგარიშში ცალკე ყოფილიყო გამოკვეთილი მონაცემები კლასტერში შემავალ თითოეულ პროგრამასთან, მათ შორის „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიში; • საანგარიშო პერიოდში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ წარდგენილი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური სამეცნიერო პროექტების შესახებ ინფორმაცია; • საანგარიშო პერიოდში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ წარდგენილი და შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული დოქტორანტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო პროექტების შესახებ ინფორმაცია; • Erasmus + გაცვლით პროგრამებში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებლები.

ექსპერტის ხელმოწერა

მერაბი ჭუმბურიძე